ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №58

15.05.2020 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ქვარა ჩართოლანი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის №12-03201543-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის №12-032010547-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011857-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011858-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011861-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 11 მაისის №12-032013250-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **ქვარა ჩართოლანი** -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

7. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 მაისის №12-032010547-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **ქვარა ჩართოლანი** -საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა, რომელმაც კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს მიმართა ორი შეკითხვით:

პირველი შეკითხვა შეეხებოდა, რამდენიმე კვირის წინ, ვაკის პარკში „ეკოსერვის ჯგუფის" თანამშრომლის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაყრისა და მისი ფოთლების დაფარვის ფაქტს.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა რომ, როგორც მისთვის არის ცნობილი, აღნიშნული ფაქტის გამო სამსახურიდან დაითხოვეს რიგითი თანამშრომელი. მაგრამ, საინტერესოა, რამდენად ობიექტურად იქნა გამოვლენილი დამნაშავე პირები და რა შესაბამისი ღონისძიებები გატარდა მათ მიმართ. იმის გამო, რომ მხოლოდ რიგით თანამშრომელზე არ მოხდეს დანაშაულის გადაბრალება, საჭიროა, კომისიამ შეკითხვით მიმართოს მერიას, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მომხდარ ფაქტზე, კონკრეტული თანამშრომელი ასრულებდა ვინმეს დავალებას თუ მოქმედებდა თვითნებურად და კომისიამ ასევე უნდა გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც გაირკვევა რა კონკრეტული ღონისძიებები იქნა გატარებული დამნაშავე პირის ან პირების მიმართ.

მეორე შეკითხვა შეეხებოდა, ვარკეთილში, ე.წ. „ანას ბაღის" ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობას. ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა კომისიის თავმჯდომარეს და საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარ წევრს ბატონ გიორგი დოხტურიშვილს მიმართა შემდეგი

შეკითხვით: ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით, რატომ არ ხდება ადგილმონაცვლეობის პრინციპის გამოყენება და სამშენებლო კომპანიისთვის ალტერნატიული მიწის ნაკვეთის შეთავაზება. მით უმეტეს, რომ ასეთი პრაქტიკა ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოში უკვე არსებობს, კერძოდ, ადგილმონაცვლეობის წესით, კონკრეტული პირების ინტერესების დაცვის მიზნით, სხვა, ალტერნატიული მიწის ნაკვეთის გადაცემის სახით.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ბატონმა გიორგი დოხტურიშვილმა.

ბატონი გიორგი დოხტურიშვილის განმარტებით, ვაკის პარკში შესაბამისი სამსახურის თანამშრომლის მიერ ნარჩენების დაყრის ფაქტის თაობაზე ინფორმაციის შეტყობისთანავე, მერიის სამსახურებისა და ხელმძღვანელი პირების მხრიდან ოპერატიული რეაგირება მოხდა. დამნაშავე პირი (თანამშრომელი) გამოვლენილია და მიღებულია შესაბამისი ზომები. ხოლო ბატონი ლევან ხაბეიშვილის თხოვნა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე, აუცილებლად გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული იქნება.

„ანას ბაღის" თაობაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, ბატონმა გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2015 წელს, მისი ინიციატივით და მოსახლეობის ჩართულობით, აღნიშნულ ბაღს დაერქვა „ანას ბაღის" სახელი, ბაღის ტერიტორია კეთილმოეწყო და გაფართოვდა.

რაც შეეხება გაცემულ მშენებლობის ნებართვას, ბატონი გ. დოხტურიშვილის განმარტებით, ჯერ კიდევ 2017 წლის ნოემბრამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერად ბ-ნი კ. კალაძის არჩევამდე შეთანხმდა „ანას ბაღის" მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქედან გამომდინარე, „ანას ბაღის" მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემასთან თბილისის მერის (კ. კალაძე) დაკავშირება უხერხულია. აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშენებლობა შეჩერებულ იქნა, თუმცა, სამშენებლო კომპანიამ კანონის სრული დაცვით განაახლა მშენებლობა. ამ ეტაპზე, მშენებლობის შესაჩერებლად, გარდა სასამართლო დავისა, სხვა სამართლებრივი ბერკეტი არ არსებობს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ლევან ხაბეიშვილი შესთავაზებს მშენებლობის შეჩერების სხვა, ალტერნატიულ სამართლებრივ გზას, ისინი ერთობლივად მიმართავენ ამ გზას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება მიწის ნაკვეთის კანონიერი მესაკუთრის, ამ შემთხვევაში მშენებლის ინტერესების შელახვა და კანონის დარღვევა.

ვაკის პარკში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაყრის ფაქტთან დაკავშირებით **აზრი გამოთქვა** ბატონმა ლევან ჯაფარიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს შესთავაზა, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელი პირების კომისიის მორიგ სხდომაზე მოწვევა და საკითხის მოსმენა.

ბატონი ლევან ხაბეიშვილის სიტყვით გამოსვლისა და კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ გ. დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2020 წლის 15 მაისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის №12-03201543-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 აპრილის №20.419.539 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01200593704-67, №01200592722-67, №01200636-67 (№01200621685-67), №0120065942-67, №0120030926-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200593704-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვ. კაკაბაძის №1-ში არსებული ტერიტორიის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.12.03.026.006-ის მომიჯნავედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 4 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №16-01200761117 წერილის მიხედვით, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოცულობისა და ფაქტობრივი განაშენიანების გათვალისწინებით, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200592722-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩის №61-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.021.028-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 32 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №16-01200662449 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთსა და სამხრეთ ნაწილებში არსებულ ე. ხარაძისა და თ. შეშელიძის ქუჩებზე ფუნქციური ზონის ცვლილებისათვის წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად, 2,5 მეტრის მქონე ქვეითთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის შენარჩუნების შემთხვევაში, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, №01.11.12.021.028 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, საზღვრის კორექტირებისათვის სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200636-67 (№01200621685-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.221) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 166 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 მარტის №01200703441 წერილის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის ძირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატყეო ზონა ფრაგმენტულად გავრცელებულია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.221) ცენტრალურ ნაწილში, მცირე ტერიტორიაზე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0120065942-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის №76-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.136, №01.12.01.004.119,

№01.12.01.004.133) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა და აგრეთვე ძირითადი რუკით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 19 მარტის №18-01200791789 წერილის მიხედვით, წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა შეამცირებს დედაქალაქში არსებული გამწვანებული ტერიტორიების ბალანსს. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და „მწვანე ქალაქის" კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სარეკრეაციო სივრცეებისა და გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა, ასევე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება ქალაქის მდგრადი განვითარების აუცილებელ მინიმუმამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის №18-01200791789 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური ურბანული გამწვანების მოხსნა მიზანშეწონილი არ არის.

რაც შეეხება ძირითადი რუკით გავრცელებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილებას, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება მისაღებია, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულება (უნივერსიტეტი) და მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული მდგომარეობის დადასტურება და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაზე ასახვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკადასტრო ერთეულსა და სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნაწილი ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ტროტუარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის №76-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.136, №01.12.01.004.119, №01.12.01.004.133) და მიმდებარე ტერიტორიაზე

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სპეციალური ზონა ზონა 1-ით (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია (ცვლილების საერთო ფართობი: 4836 კვ.მ.).

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0120030926-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.417, №01.11.13.002.427) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 148 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 9 მარტის №61-01200694904 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.417) ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 1-ლი აპრილის №16-0120092934 წერილის მიხედვით, არსებული ან სამომავლო ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიის აღნიშნულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო ზონის გაუქმება არ მოახდენს უარყოფით გავლენას. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, №01.11.13.002.417, №01.11.13.002.427 საკადასტრო მიწის ნაკვეთების ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200593704-67, №01200592722-67, №01200636-67(№01200621685-67), №0120065942-67, №0120030926-67 განცხადებებთან (სულ: 5 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარეს, ბ-ნია გიორგი დოხტურიშვილს კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის **№12-032010543-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01200593704-67, №01200592722-67, №01200636-67(№01200621685-67), №0120065942-67, №0120030926-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის **№12-032010543-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01200593704-67, №01200592722-67, №01200636-67(№01200621685-67), №0120065942-67, №0120030926-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის №12-032010547-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში,

იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 აპრილის №20.418.541 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 2 წინადადება - №01200511986-67, №01200651985-67.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200511986-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი ლილო, სოფელ პატარა ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.03.140) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 2020 კვ.მ.).

აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარე არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ტერიტორიასთან დაკავშირება შესაძლებელია მეფე ფარნავაზ I-ის ქუჩით, რომლის ჩრდილოეთ ნაწილი განაშენიანებულია საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200651985-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაკტიონ ტაბიძის I შესახვევის №11ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.17.143) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 194 კვ.მ.).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.17.143) ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №16-01200761124 წერილის მიხედვით, სააგენტოს მიერ ადგილზე მოხდა აღნიშნული არეალის შესწავლა. №81.01.17.143 საკადასტრო ერთეულის სამხრეთი ნაწილის ვიწრო მონაკვეთზე არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) ფაქტობრივი მდგომარეობით გზის ფუნქცია არ გააჩნია, ის არ უკავშირდება სხვა გზას. ამ არეალზე ტრანსპორტის ან/და ქვეითთა გადაადგილება არ ხდება. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200511986-67, №01200651985-67 განცხადებებთან (სულ: 2 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის **№12-032010547-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01200511986-67, №01200651985-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 აპრილის **№12-032010547-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01200511986-67,

№01200651985-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011857-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 აპრილის №20.452.568 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01200792001-67, №01200781909-67, №01200441351-67, №01200483508-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200792001-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.390) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 3839 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 მარტის №01200901375 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200781909-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დასახლება

ვარკეთილი-3, მიკრორაიონი IIIა, №338 და №343 კორპუსების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.438) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 134 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის №16-01200901518 წერილის მიხედვით, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე ზონის ცვლილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესზე არ მოახდენს უარყოფით გავლენას და მიმდებარედ არსებული სატრანსპორტო ზონის კონფიგურაციის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გზის სიგანის შემცირებას, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200441351-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.006.055, №01.17.10.006.056) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით (ცვლილების ფართობი: 16 214 კვ.მ.).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ალ. წულუკიძის ქ. №21-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.006.055, №01.17.10.006.056) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №166 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №01.17.10.006.055, №01.17.10.006.056 საკადასტრო მიწის ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01200483508-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა, II კვარტალი, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.706) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 913 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №16-01200761108 წერილის მიხედვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდა საგზაო მოძრაობის სქემის შეთანხმება საპატრულო პოლიციასა და ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი

კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200792001-67, №01200781909-67, №01200441351-67, №01200483508-67 განცხადებებთან (სულ: 4 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის **№12-032011857-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01200792001-67, №01200781909-67, №01200441351-67, №01200483508-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის **№12-032011857-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01200792001-67, №01200781909-67, №01200441351-67, №01200483508-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე **საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011858-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 აპრილის №20.453.567 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 1 წინადადება - №01200911573-67.

- **№01200911573-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევის №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.12.787) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 1436 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აპრილის №01200981626 წერილის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების შესაბამისად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1

(სზ-1), სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200911573-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის **№12-032011858-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200911573-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის **№12-032011858-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200911573-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 27 აპრილის №12-032011861-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 21 აპრილის №20.438.559 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01200641932-67, №01200841830-67, №01200921617-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200641932-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონში, პირველ და მეორე მიკრორაიონებს შორის მხატვრების დასახლება ნაკვეთი №18, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.018, №01.17.09.001.022) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 25 მარტის №01200851023 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა №01.17.09.001.018 საკადასტრო ერთეულზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის ფენების მოხსნა.

რაც შეეხება №01.17.09.001.022 საკადასტრო ერთეულს, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია ხვდება სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2).

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.022) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული

სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა შეამცირებს დედაქალაქში არსებულ სარეკრეაციო სივრცეებს და გამწვანებულ ტერიტორიებს.

ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დადგენილებით გათვალისწინებული „მწვანე ქალაქის" კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სარეკრეაციო სივრცეებისა და გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა, ასევე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება ქალაქის მდგრადი განვითარების აუცილებელ მინიმუმამდე. შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 25 მარტის №01200851023 წერილის თანახმად, №01.17.09.001.022 საკადასტრო ერთეულზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ფენების მოხსნა მიზანშეწონილი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩა №50-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.018) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა და (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200841830-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი/ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.18.300) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა (ცვლილების საერთო ფართობი: 59 კვ.მ.).

მომხსენებელმა, ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა კომისიის წევრებს დამატებითი ინფორმაციის სახით აცნობა, რომ განმცხადებელმა შეცვალა (დააზუსტა) მოთხოვნა, რის გამოც შეიცვალა ფაქტობრივი მდგომარეობა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) დამატებითი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრთა აზრით, ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობისა და დაინტერესებული პირის მოთხოვნის (განცხადების) ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო, მიზანშეწონილია, **№01200841830-67 განცხადების განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი შესწავლის მიზნით.**

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200921617-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლების III მასივში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.135) მოთხოვნილია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 298 კვ.მ.). აგრეთვე

გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მესამე მასივში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.135) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №26 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 აპრილის №0120101386 წერილის მიხედვით, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის სამშენებლოდ განვითარებას, რომელზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკის თანახმად, ვრცელდება შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა. შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლების III მასივში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.135) განაშენიანების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების არეალების ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200641932-67 და №01200921617-67 განცხადებასთან (სულ: 2 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებული იქნას** №01200841830-67 განცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი/ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.18.300) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა, დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 27 აპრილის №12-032011861-03 წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019

წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01200641932-67, №01200921617-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებული იქნას** №01200841830-67 განცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი/ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.18.300) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის განხილვა, დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 27 აპრილის №12-032011861-03 წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01200641932-67, №01200921617-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 11 მაისის №12-032013250-03 წერილი)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 8 მაისის №20.493.635 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 7 წინადადება - №01200931621-67, №0119226984-67, №01192261114-67, №0120098801-67, №01200281-67, №01200723464-67, №01201221238-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200931621-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.227, №01.11.10.001.232, №01.11.10.001.231, №01.11.10.001.142, №01.11.10.001.133 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების საერთო ფართობი: 683 კვ.მ.). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №18-0120107914 წერილის თანახმად, სამსახური თანახმაა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტოპო გეგმის შესაბამისად, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

საპროექტო მიწის ნაკვეთების ნაწილზე ვრცელდება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და ასევე, მიმდებარედ არსებული კვარტალიც განაშენიანებულია მაღალი ინტენსივობით.

ზემოაღნიშნულისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.227, №01.11.10.001.232, №01.11.10.001.231, №01.11.10.001.142, №01.11.10.001.133 და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0119226984-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (ცვლილების დაზუსტებული ფართობი: 58 193 კვ.მ.). აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 27 ნოემბრის №441 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01192261114-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.003.983, №01.10.07.009.065, №01.10.07.009.064, №01.10.07.009.063, №01.10.07.009.001) მოთხოვნილია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 31 949 კვ.მ.).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №78 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.003.983, №01.10.07.009.065, №01.10.07.009.064, №01.10.07.009.063, №01.10.07.009.001) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0120098801-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 22 722 კვ.მ.).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.003.013), საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 29 მაისის №1405 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №49 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, დიდი დიღმის საცხოვრებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01200281-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დმანისის ქუჩის №15-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.030.012) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 4 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 14 აპრილის №16-01201051863 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში დარჩენილი სატრანსპორტო ზონის სიგანე საკმარისია სამომავლო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01200723464-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.04.004.093) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 3-ით (სპეცზ-3) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 7995 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 3 აპრილის №01200941604 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის სპეციალური ზონის 3-ით (სპეცზ-3) ცვლილება.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01201221238-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-

ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი: №09/107) არსებულ №01.10.18.009.107 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (ცვლილების საერთო ფართობი: 1575 კვ.მ.).

„ქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის №53 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 6 მაისის №18-01201271383 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მოიხსნას სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი: №09/107) არსებულ №01.10.18.009.107 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200931621-67, №0119226984-67, №01192261114-67, №0120098801-67, №01200281-67, №01200723464-67, №01201221238-67 განცხადებებთან (სულ: 7 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 11 მაისის **№12-032013250-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01200931621-67, №0119226984-67, №01192261114-67, №0120098801-67, №01200281-67, №01200723464-67, №01201221238-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 11 მაისის №12-032013250-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01200931621-67, №0119226984-67, №01192261114-67, №0120098801-67, №01200281-67, №01200723464-67, №01201221238-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის **წესრიგის** მეშვიდე (მიმდინარე) **საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 მაისის №12-032010547-03 წერილი)

დღის წესრიგის მეშვიდე (მიმდინარე) **საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის №20.503.637 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 1 წინადადება - №01201061053-67.

- **№01201061053-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, იროდიონ სონღულაშვილის ქუჩა №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.106) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. აგრეთვე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 27 აპრილის №01201181476 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა, განცხადებაში მოთხოვნილი სახით განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201061053-67 (სულ: 1 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 მაისის **№12-032013542-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01201061053-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 14 მაისის **№12-032013542-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01201061053-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი